# ცისფერი სიშორე

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლივაღ
ღამე მომიახლოვდა დ შავი და საშინელი.
სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან
და მოვა მწუხარება დ ჩემი ლურჯი ფრინველი.

ეს გუგუნი მუსიკის, როცა მე მიხარია,
თან ტირილი მინდება და მკლავებზე ტრაური.
ჩემის მოპირდაპირე უხილავი ქარია
და თვალებში გაისმის ღამეების ხმაური.

მე ყოველთვის ასე ვარ და არავინ არ იცის.
ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი.
მე ისევ მენატრება სურნელება მაისის
მე ზაფხულის დღეები, ტკბილი მოსაგინარო.

ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები,
(ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე).
დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,
სადმე, ახლოს თბილისთან თუ სამარე ვშოვე.

სულის მკრთალი ლანდები შენს გარშემო ივლიან,
წვიმიანი წამოვა რიცხვი აუტანელი.
ბედის კარი, ძვირფასო, ისევ დაკეტილია,
საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი.

ეს დარდები მოჰქრიან, როგორც თეთრი პეპლები,
ო, მარადი წარსულის მეტი რა დაგვრჩენია.
მხოლოდ მე ვარ დამწვარი, მხოლოდ მე
ვიფერფლები
და დროა, საქართველომ იგრძნოს ჩემი გენია.

მე მგონია გათავდა ჩემი გლოვა ამდენი,
თუმცა ახლაც გარშემო ღალატი და შურია.
ბრუნავს ჩემი ცხოვრება, როგორც კორიანტელი,
დავიღალე და ისევ მოსვენება მწყურია.

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
ღამე მომიახლოვდა დ შავი და საშინელი.
სინანუი გაივლის მოგონების მაღლობთან
და მოვა მწუხარება დ ჩემი ლურჯი ფრინველი.